

[illegible]



სახელმწიფო აუდიტი სამსახური

2014 - 2017 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა

ოქტომბერი, 2014

(ბოლო განახლება 2015, ნოემბერი)

შინაარსი

შესავალი - - - - -	3
ჩვენი მიღწევები 2010-2012 წლებში - - - - -	4
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის როლი და მანდატი - - - - -	5
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისია - - - - -	6
ძირითადი ღირებულებები - - - - -	6
არსებული გამოწვევები - - - - -	6
გარემო ფაქტორებთან დაკავშირებული გამოწვევები - - - - -	7
ინსტიტუციურ შესაძლებლობებთან დაკავშირებული გამოწვევები - - - - -	7
სტრატეგიული მიზნები და ამოცანები - - - - -	8
სტრატეგიული მიზანი 1 - - - - -	10
სტრატეგიული მიზანი 2 - - - - -	14
სტრატეგიული მიზანი 3 - - - - -	16
სტრატეგიული მიზანი 4 - - - - -	18

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (სას) სტრატეგიული განვითარების გეგმას 2014-2017 წლებისათვის, რომელიც მოიცავს სას-ის საქმიანობის გრძელვადიან ხედვას, შესაბამისი მიზნებითა და ამოცანებით. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილი სტრატეგიული მიზნები ითვალისწინებს:

- ❖ აუდიტორული საქმიანობის შედეგების მაქსიმიზაციას;
- ❖ სას-ის როლის ზრდას საჯარო რესურსების მართვის სისტემის მუდმივ გაუმჯობესებაში;
- ❖ სას-ის ჩამოყალიბებას მაღალპროფესიულ ორგანოდ მრავალმხრივი განათლების მექანიზმებით, თანამედროვე მართვის სისტემებითა და პროცესებით, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს საქმიანობის მაღალ ხარისხს, დროულობასა და სანდოობას.

ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონის ამაღლების მიზნით სას გეგმავს როგორც ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე, საქმიანობის შეფასების ძირითადი ინდიკატორების (KPI) დანერგვას, რათა დასახული მიზნების მიღწევის პროცესში შესაძლებელი იყოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზომვა და მონიტორინგი. სას-ის მიერ შემუშავებული შეფასების ძირითადი ინდიკატორების სისტემა წარმოადგენს საპილოტე ვერსიას, შესაბამისად, მიზნობრივი მაჩვენებლები განისაზღვრება შემდგომ წლებში საბაზისო მაჩვენებლების დათვლის საფუძველზე.

წინამდებარე სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა პარლამენტთან, საერთაშორისო დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებთან, ასევე, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციების შედეგად.

ჩვენი მიღწევები 2010-2012 წლებში

სას-ის 2010-2012 წლების სტრატეგიული გეგმა¹ ფოკუსირებული იყო:

<4>

- ❖ შიდა ორგანიზაციულ განვითარებაზე;
- ❖ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბებასა და
- ❖ უწყების პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

განვითარების აღნიშნული გეგმის ფარგლებში სას-მა (ყოფ. საქართველოს კონტროლის პალატა) მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, როგორც საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, ისე, აუდიტორული საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ:

➔ აუდიტორული საქმიანობის მიმართულებით, 2010 წელს სას-მა შეიმუშავა და დაამტკიცა საჯარო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფინანსური აუდიტის მეთოდოლოგია. 2011 წელს მოხდა თანამშრომელთა გადამზადება ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად და ჩატარდა სამი საპილოტე ფინანსური აუდიტი.

➔ 2011 წელს სას-მა შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისისა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, შეიმუშავა ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგია. ასევე, ამ მიმართულებით მოხდა კადრების გადამზადება და ჩატარდა საპილოტე აუდიტი.

➔ 2011 წელს სას-ის საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით განმტკიცდა დამოუკიდებლობის პრინციპები. აღნიშნული პრინციპები აღიარებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) 2007 წლის მეხიკოს დეკლარაციით.

➔ 2012 წელს სას-ის ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამსახურმა შეიმუშავა და დანერგა საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. აღნიშნულის მიზანია, უზრუნველყოს დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის თაობაზე, რომ სამსახურის აუდიტორული საქმიანობა შეესაბამება პროფესიულ სტანდარტებს, მარეგულირებელ ნორმებსა და კანონმდებლობას.

➔ 2012 წლიდან სას-ის ფარგლებში საქმიანობა დაიწყო საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა, როგორც დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ. საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიზანია საჯარო სექტორისათვის საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურების გაწევა, ასევე, საჯარო სექტორის აუდიტორთა პროფესიული სერტიფიცირება და საჯარო ფინანსების მართვის სხვადასხვა მიმართულებით უწყვეტი განათლების ხელშეწყობა.

¹ საქართველოს კონტროლის პალატის 2010-2012 წლების განვითარების სტრატეგია იხილეთ შემდეგ ბმულზე - http://sao.ge/files/chvens_shesaxe/cg-strategia-2010-2012%20GEO.pdf
www.sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის როლი და მანდატი

სას საქართველოს პარლამენტს წარუდგენს დამოუკიდებელ რწმუნებას, თუ რამდენად მიზნობრივად, კანონმდებლობის შესაბამისად და გადასახადის გადამხდელთა ინტერესების გათვალისწინებით განიკარგება საბიუჯეტო სახსრები.

სას:

- პარლამენტს წარუდგენს ანგარიშებს საჯარო უწყებების საქმიანობის შესახებ, რითაც ხელს უწყობს საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას პარლამენტისა და საზოგადოების წინაშე;
- აუდიტორული საქმიანობის შედეგად სას აღმასრულებელ ხელისუფლებას და სხვა უწყებებს აწვდის რეკომენდაციებს სახელმწიფო მმართველობის გასაუმჯობესებლად, საბიუჯეტო სახსრების პროდუქტიულად, ეკონომიურად და ეფექტიანად მართვის მისაღწევად;
- პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას აწვდის რეკომენდაციებს ნორმატიული აქტების, სახელმწიფო პროგრამების, საჯარო ფინანსების მართვის სისტემის რეფორმისა და სხვა რელევანტური საკითხების შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ეროვნული ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობით სას ხელს უწყობს კორუფციისაგან თავისუფალი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებას.

მოქმედი საკანონმდებლო ბაზით, სას-ის აუდიტის მანდატი ვრცელდება როგორც ცენტრალურ ხელისუფლებაზე, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობებზე, ავტონომიურ რესპუბლიკებზე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სხვა სუბიექტებზე. აღსანიშნავია, რომ 2011 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, აუდიტის სამსახურს ასევე დაეკისრა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის ფუნქცია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისია

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისიაა, ხელი შეუწყოს სახელმწიფო მომსახურების გაუმჯობესებასა და საჯარო რესურსების უკეთეს მართვას კანონიერების, ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით.

სას-ის მიზანია, ხელი შეუწყოს პარლამენტს მის მიერ მთავრობაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებაში, ასევე, საჯარო სექტორში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების განმტკიცებას და საჯარო ფინანსების ეფექტიან და კანონიერ განკარგვას.

ძირითადი ღირებულებები

სას-ის საქმიანობა ეფუძნება შემდეგ ძირითად ღირებულებებს:

- ❖ **ობიექტურობა** - სას-ის საქმიანობა ეფუძნება მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის, სიზუსტის, დროულობის და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპებს, რაც თავის მხრივ განაპირობებს სანდოობის მაღალ ხარისხს.
- ❖ **დამოუკიდებლობა** - სას-ის, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტის საქმიანობა მთავრობის საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელების პროცესში, დაფუძნებულია მის უწყებრივ, ფინანსურ, ფუნქციონალურ და ორგანიზაციულ დამოუკიდებლობაზე, რაც საჯარო სექტორის აუდიტის სათანადოდ განხორციელების აუცილებელი მოთხოვნაა.
- ❖ **საჯაროობა** - სას ღიად და საჯაროდ წარმართავს თავის საქმიანობას გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სას-ი უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომობას.
- ❖ **პროფესიონალიზმი** - სას-ის თანამშრომლები ხელმძღვანელობენ პროფესიული ეთიკის სტანდარტებით. სას-ი უზრუნველყოფს კადრების უწყვეტ პროფესიულ ზრდას, მათი ცოდნის, გამოცდილებისა და შესაძლებლობების განვითარებას. ეს უკანასკნელი განაპირობებს სას-ის საქმიანობის მაღალ ხარისხსა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.

არსებული გამოწვევები

საჯარო სექტორში მიმდინარე ცვლილებები მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, როგორც სას-ის, ასევე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის. უკანასკნელ წლებში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები კიდევ უფრო ზრდის სას-ის საქმიანობის მნიშვნელობას ამ პროცესში.

გარემო ფაქტორებთან დაკავშირებული გამოწვევები

ფისკალური დისციპლინის უზრუნველსაყოფად დადგენილი საკანონმდებლო ლიმიტები, ასევე მთავრობის ძალისხმევა ფისკალური კონსოლიდაციის მიმართულებით, ზრდის შეზღუდული საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და მიზნობრივი განკარგვის აუცილებლობას. სას-ის გამოწვევაა, თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს მთავრობის მიერ შეზღუდული ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას.

სას-ისთვის ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემაში მიმდინარე რეფორმის პროცესი, რომლის მიზანია ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და სანდოობის გაზრდა. აღნიშნული ინიციატივის ნაწილია 2020 წლისათვის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS)-ის დანერგვის ვალდებულებაც. ამ მიმართულებით, სას-ის მიზანია, დაეხმაროს მთავრობას რეფორმის წარმატებულად განხორციელებაში.

გარდა ზემოხსენებული რეფორმისა, საჯარო ფინანსების მართვის სფეროში მიმდინარეობს შედეგზე ორიენტირებული (პროგრამული) ბიუჯეტირების დანერგვის პროცესი, რაც საბიუჯეტო სახსრების კანონშესაბამისობასთან ერთად, გულისხმობს ამ საბიუჯეტო სახსრებით მიღწეულ შედეგებზე ფოკუსირებას. რეფორმა განსაკუთრებულ დატვირთვას სძენს სას-ის საქმიანობას, როგორც ფინანსური/შესაბამისობის აუდიტის, ასევე ეფექტიანობის აუდიტის მიმართულებით და მოითხოვს ინსტიტუციის პროფესიული შესაძლებლობების არსებით გაძლიერებას. ამასთანავე, საქართველოს მთავრობა აქტიურად ახორციელებს ელექტრონული მართვის სისტემების დანერგვის პროცესს. რეფორმა მიზნად ისახავს მხარჯავი დაწესებულებების მიერ საგადასხდელო დოკუმენტბრუნვის ელექტრონული ფორმით წარმოებას, სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო შესხების ელექტრონულ მართვას, სოციალური დახმარებების ელექტრონული მონაცემთა ბაზების შექმნას და ა.შ. საჯარო სექტორში მიმდინარე ამ ცვლილების საპასუხოდ, სას-ი უზრუნველყოფს ინფორმაციული სისტემების (IT) აუდიტის დანერგვასა და განვითარებას.

ინსტიტუციურ შესაძლებლობებთან დაკავშირებული გამოწვევები

სას-ის გამოწვევაა აუდიტორული საქმიანობით სახელმწიფო ბიუჯეტის მოცვის მაჩვენებლის გაზრდა, რაც გულისხმობს აუდიტორული საქმიანობით ნაერთი ბიუჯეტის როგორც თანხობრივი, ასევე სექტორული დაფარვის მაჩვენებლის ზრდას. აღნიშნული ხელს შეუწყობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სისტემური ხედვის სრულყოფას და აუდიტორული საქმიანობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან სფეროებსა და საკითხებზე ორიენტირებულობას.

- ➔ სას-ის საქმიანობის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს აუდიტორული საქმიანობის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორებისა და პრევენციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება. ამ მიმართულებით ჩვენი გამოწვევებია: სას-ის რეკომენდაციების ხარისხის გაუმჯობესება და აუდიტის ობიექტების მხრიდან გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების

მაჩვენებლის გაზრდა.


ინსტიტუციურ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ გამოწვევას წარმოადგენს მართვის პროცესების ეფექტიანობის გაუმჯობესება, რომელიც გულისხმობს, მართვის საინფორმაციო სისტემების, ასევე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკით გათვალისწინებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების დანერგვას. სას-ის მიზანია არსებული რესურსებით უკეთესი შედეგების მიღწევა და ჩვენი ანგარიშების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება.

სას-ის ადამიანური რესურსების მართვის კუთხით ჩვენ გამოწვევებს წარმოადგენს: კვალიფიციური კადრების მოზიდვა, პროფესიული განვითარებისა და შენარჩუნების პოლიტიკის შემუშავება და თანამშრომელთათვის ხელსაყრელი სამუშაო პირობების უზრუნველყოფა, ასევე აუდიტორულ და არააუდიტორულ შტატს შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა.

სას საკუთარი საქმიანობით ანგარიშვალდებულია პარლამენტისა და საზოგადოების წინაშე. შესაბამისად, სას-ისთვის მნიშვნელოვანია მათი ნდობის ხარისხისა და სას-ის ცნობადობის გაუმჯობესება. აღნიშნული გამოწვევა მოითხოვს სას-ის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდასა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაძლიერებას.

არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სას-ის რესურსებისა და განვითარების შესაძლებლობების გათვალისწინებით, 2014-2017 წლებისათვის განისაზღვრა ოთხი სტრატეგიული მიზანი. მათი ეტაპობრივი განხორციელება და ინსტიტუციური განვითარება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით გაზრდის სას-ის როლს საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემის გაუმჯობესების პროცესში.

სას-ის სტრატეგიული მიზნებია:



პარლამენტის ხელშეწყობა მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებაში;



მთავრობის ხელშეწყობა ანგარიშვალდებულების დონის/ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული რეფორმების განხორციელებაში;



პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა;



ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება საქმიანობის ხარისხის ასამაღლებლად.

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

სტრატეგიული მიზანი 1

აუდიტორული საქმიანობით პარლამენტის ხელშეწყობა მთავრობაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებაში

<10>

მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, სას-ი საკუთარი მანდატის ფარგლებში გეგმავს აუდიტორული საქმიანობის წარმართვას შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით²:

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსური საქმიანობა
- ❖ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვა და მართვა
- ❖ სამართალდამცავი უწყებების განვითარების მხარდაჭერა
- ❖ სახელმწიფო თავდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა
- ❖ ინფრასტრუქტურული პროგრამები და ღონისძიებები
- ❖ განათლების და მეცნიერების მხარდაჭერა
- ❖ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების სისტემა
- ❖ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა
- ❖ ეფექტიანი სახელმწიფო მართვისა და საჯარო ფინანსების რეფორმის მხარდაჭერა
- ❖ კულტურისა და სპორტის პროგრამების მართვა

ამოცანები:

1.1. ფინანსური აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდა

სას მიზნად ისახავს სახელმწიფო ბიუჯეტისა და მხარჯავი დაწესებულებების 85%-იანი³ დაფარვის უზრუნველყოფას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებული ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის საქმიანობის ფარგლებში. ამასთან, სას გეგმავს აუდიტორული საქმიანობის სექტორული დაფარვის გაზრდას, რაც გულისხმობს ყველა იმ სფეროს მოცვას, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საჯარო ფინანსების მართვაზე (როდესაც საბიუჯეტო ასიგნებები შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვან წილს) ან/და ხასიათდება საჯარო რესურსების ეფექტიან მართვასთან დაკავშირებული მაღალი რისკით⁴.

1.2. შესაბამისობის აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდა

სას მიზნად ისახავს შესაბამისობის აუდიტის განახლებას ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI 4000). შესაბამისობის აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის ოპერაციებისა და საქმიანობის შეფასება მოქმედ კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო და საგრანტო მოთხოვნებთან, ორგანიზაციულ პოლიტიკასთან და პროცედურებთან შესაბამისობაში. სას აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დეკლარირებულ საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ცვლილებების შესაბამისად შეიმუშავებს მეთოდოლოგიურ ბაზას და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მის განახლებას.

² აღნიშნული პრიორიტეტები გადაიხედება ყოველ 2 წელიწადში.

³ აღნიშნული მიზნობრივი მაჩვენებელი განსაზღვრულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მიერ შემუშავებულ უმაღლესი აუდიტორული ორგანოს საქმიანობის შეფასების ჩარჩო სახელმძღვანელოში, როგორც საბიუჯეტო სახსრების აუდიტით დაფარვის ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებელი.

⁴ დიდი საბიუჯეტო სახსრები, გასულ წლებში არააუდიტირებული უწყებები, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, ორგანიზაციის მართვის ძირითადი მიმართულებების შეფასების შედეგები, რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა, გარე წყაროების მიერ გამოვლენილი მნიშვნელოვანი მართვის პრობლემები. მხარჯავ უწყებაში/პროგრამის ფარგლებში მიმდინარე რეფორმები ან ცვლილებები.

შესაბამისობის აუდიტით სას ხელს უწყობს პარლამენტსა და მთავრობას საქართველოს სამართლებრივი სისტემის გამოყენებისას შესაბამისობის მაღალი დონის უზრუნველყოფის საკითხებში.

1.3. ეფექტიანობის აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდა

აუდიტორულ საქმიანობაში ეფექტიანობის აუდიტის როლის ზრდით სას შეძლებს საჯარო მმართველობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციებით ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის ამაღლებას. სას-ის მიზანია, ეტაპობრივად გაზარდოს ეფექტიანობის აუდიტის წილი მის აუდიტორულ საქმიანობაში, კერძოდ, ეფექტიანობის აუდიტის მიზნობრივი წილი სას-ის აუდიტორულ საქმიანობაში 2016 წლისათვის 10%-ს მიაღწევს.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ყველა სექტორული აუდიტის დეპარტამენტი ეტაპობრივად დაიწყებს ეფექტიანობის აუდიტის განხორციელებას. ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი, დეპარტამენტში განხორციელებული აუდიტორული საქმიანობის გარდა, უზრუნველყოფს სექტორული დეპარტამენტების მიერ წამოწყებული აუდიტების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებას.

1.4. IT აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდა

სას გეგმავს ინფორმაციული სისტემების აუდიტის დანერგვას. აღნიშნული ტიპის აუდიტი მიზნად ისახავს გონივრული რწმუნების მოპოვებას იმის თაობაზე, რომ მართვის ინფორმაციული სისტემა და მისი კონტროლის მექანიზმები უზრუნველყოფს:

- ❖ არსებული ინფორმაციული აქტივების უსაფრთხოებას;
- ❖ მონაცემთა სიზუსტესა და სანდოობას;
- ❖ საინფორმაციო სისტემის საიმედოობასა და ეფექტიან ფუნქციონირებას.

IT აუდიტის დანერგვა ხელს შეუწყობს მინიმალური დანახარჯებით კონტროლის არსებითი ნაკლოვანებების გამოვლენას და შესაბამისი რეკომენდაციებით საჯარო ფინანსების მართვის პროცესის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ინფორმაციული სისტემების აუდიტი ხელს შეუწყობს სას-ის ადამიანური და დროითი რესურსების დაზოგვას. IT აუდიტის დანერგვით სამსახური ასევე შეძლებს ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის შედეგების გაზრდას.

1.5. დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტი

დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტი უზრუნველყოფს დონორების მიერ გამოყოფილი თანხების შესაბამისობის დადგენას მათ მოთხოვნებთან და მიზნებთან.

დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტის დანერგვით სას უზრუნველყოფს პროექტების როგორც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის აუდიტს, ასევე მათ შეფასებას საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან.

სას დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი გრანტების აუდიტის ფარგლებში მიზნად ისახავს:

1. დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების გარე აუდიტისათვის გამოყოფილი სახსრების დაზოგვასა და სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვას;
2. კორუფციული გარიგებებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენას და ამ მიმართულებით საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებას;
3. სას-ის რეპუტაციისა და ნდობის გაზრდას - სას-ი განაგრძობს შესაძლებლობების უწყვეტ განვითარებას, რაც ასევე გამოიხატება აღნიშნული ტიპის აუდიტის დანერგვაში. ამ მიმართულებით სამსახური გეგმავს კვალიფიციური კადრების მოზიდვას და ცოდნის გაღრმავებას, შესაბამისი სტანდარტებისა და უკეთესი პრაქტიკების საჯარო სექტორისთვის გაზიარებას.

1.6. სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული სავალდებულო ანგარიშების ხარისხის მუდმივი სრულყოფა

აღნიშნული ამოცანის განხორციელება ხელს შეუწყობს საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემაში სამსახურის როლის ზრდას და უზრუნველყოფს პარლამენტის ინფორმირებულობას ყველა იმ სისტემურ ხარვეზზე, რომელთა გადაწყვეტაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საჯარო რესურსების ეფექტიანი და მართლზომიერი განკარგვისათვის.

1.7. აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდა

სას-ის მიზანია აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციებით ხელი შეუწყოს საჯარო სექტორის მართვის პროცესში პოზიტიურ ცვლილებებს და აღნიშნული ცვლილებების განხორციელებით გაზარდოს სახელმწიფოსათვის მოტანილი სარგებელი.

ამ მიმართულებით სას მიზნად ისახავს, როგორც რეკომენდაციების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე, აღნიშნულ პროცესში პარლამენტის ჩართულობისა და აუდიტის ობიექტის მხრიდან რეაგირების გაზრდას. გარდა ამისა, რეკომენდაციების შემუშავებისა და შესრულების მონიტორინგის პროცესის სრულყოფა გააუმჯობესებს სას-ის საქმიანობის შესახებ პერიოდულ ანგარიშებას დაინტერესებული მხარეებისადმი.

სტრატეგიული ამოცანა	ინდიკატორი
1.1. ფინანსური აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდა	➤ ფინანსური/შესაბამისობის აუდიტით შემოწმებული სახელმწიფო ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებელი; ➤ ფინანსური აუდიტებით სახელმწიფოსათვის მოტანილი შედეგი (ფინანსური და არაფინანსური)
1.2. შესაბამისობის აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდა	➤ წლის განმავლობაში ჩატარებული შესაბამისობის აუდიტების რაოდენობა; ➤ ჩატარებული შესაბამისობის აუდიტებით სახელმწიფოსთვის მოტანილი სარგებელი (ფინანსური და არაფინანსური)



სტრატეგიული ამოცანა	ინდიკატორი
1.3. ეფექტიანობის აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდა	➤ ეფექტიანობის აუდიტებით სახელმწიფოსათვის მოტანილი სარგებელი (ფინანსური და არაფინანსური); ➤ წლის განმავლობაში ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტების პროცენტული მაჩვენებელი მთლიანი აუდიტების რაოდენობასთან; ➤ მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ეფექტიანობის აუდიტით მინიმუმ ექვსი სფეროს დაფარვა;
1.4. IT აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდა	➤ წლის განმავლობაში ჩატარებული IT აუდიტების რაოდენობა; ➤ ჩატარებული IT აუდიტებით სახელმწიფოსათვის მოტანილი სარგებელი; ➤ IT აუდიტის მეთოდოლოგიის განვითარება და დანერგვა;
1.5. დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტის ჩატარება	➤ დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტის ჯგუფის ჩამოყალიბება; ➤ ჩატარებული საპილოტე აუდიტები; ➤ დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტების შედეგად სახელმწიფოსათვის მოტანილი სარგებელი; (ფინანსური და არაფინანსური);
1.6. სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული სავალდებულო ანგარიშების ხარისხის მუდმივი სრულყოფა	➤ სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებულ ანგარიშებში მოცემული სისტემური ხარვეზებისა და რეკომენდაციების რაოდენობა; ➤ სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული ანგარიშების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;
1.7. აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდა	➤ სას-ის რეკომენდაციების მიხედვით სამთავრობო უწყებებში მმართველობის გასაუმჯობესებლად განხორციელებული ცვლილებები; ➤ წლის განმავლობაში გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა; ➤ წლის განმავლობაში შესრულებული რეკომენდაციების რაოდენობა; ➤ პარლამენტისა და საზოგადოებისათვის მომზადებული წლიური შემაჯამებელი ანგარიში; ➤ რეკომენდაციების შემცველი აუდიტის ანგარიშების წილი; ➤ აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შესრულების კოეფიციენტი;

სტრატეგიული მიზანი 2

მთავრობის ხელშეწყობა ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებისკენ მიმართული რეფორმების განხორციელებაში

ამოცანები:

2.1. საჯარო ფინანსების მართვასა და ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ინიციატივებზე ექსპერტული დასკვნების მომზადება

ამოცანა მიზნად ისახავს, მიმდინარე რეფორმების გათვალისწინებით, პარლამენტისათვის დახმარებას საჯარო ფინანსების მართვასა და ბიუჯეტირებასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესებასა და საჯარო სექტორის ფინანსური მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებაში.

2.2. მთავრობის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად

სას-ის მიზანია აქტიური მონაწილეობა მიიღოს საჯარო ფინანსების მართვასა და ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, პროექტებსა და სხვადასხვა პროფესიულ საბჭოში (სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის საკოორდინაციო საბჭო, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭო, ეროვნული ანტიკორუფციული საბჭო). აღნიშნული მიზნის მისაღწევად სას-ის საქმიანობა ფოკუსირებული იქნება შიდა აუდიტის, პროგრამული ბიუჯეტის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის, ასევე სახელმწიფო ქონების მართვის საკითხებზე ცოდნის ამაღლებასა და საჯარო უწყებებისთვის თანამედროვე გამოცდილების გაზიარებაზე.

ამ ამოცანის ფარგლებში სას-ი გეგმავს ტრენინგების ორგანიზებასა და პუბლიკაციების/საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოების მომზადებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საჯარო სექტორისთვის გამოცდილების გაზიარებასა და რეფორმების წარმატებით განხორციელებას.

მთავრობის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში სას-ი გეგმავს მხარჯავი უწყებების სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების სრული ციკლის შესაფასებლად სარეიტინგო სისტემის დანერგვას. სისტემის მეშვეობით სამსახური უზრუნველყოფს ცალკეული მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო უწყებებში შედეგზე ორიენტირებული და ეფექტიანი მართვის ხელშეწყობას თითოეული უწყების სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების სრული ციკლის შეფასებასა და არსებული ხარვეზების გამოვლენას. აღნიშნული რეიტინგის ფორმირება, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს საბიუჯეტო ორგანიზაციებში სტრატეგიული დაგეგმვისა და საქმიანობის შეფასების პროცესის გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ, გახდება სტიმული მხარჯავი დაწესებულებებისათვის სას-ის აუდიტის რეკომენდაციების შესრულებისათვის.



2.3. სამართალდამცავი ორგანოების ექსპერტული დახმარება ქვეყნის ანტიკორუფციული სტრატეგიის ფარგლებში

2008 წლიდან სასწარმოდგენილია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოში. ანტიკორუფციული პოლიტიკის ფარგლებში სასწარმოდგენილობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციულ ქსელთან (OECD-ACN) და „სახელმწიფოთა ჯგუფთან კორუფციის წინააღმდეგ“ (GRECO), რომელიც აფასებს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების კანონმდებლობასა და მათ ანტიკორუფციულ სტრატეგიას და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. სასწავლისწინებს GRECO-სა და OECD-ACN-ის რეკომენდაციებსა და დასკვნებს, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საჯარო სექტორში გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვას.

სტრატეგიული ამოცანა	ინდიკატორი
2.1. საჯარო ფინანსების მართვასა და ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ინიციატივებზე ექსპერტული დასკვნების მომზადება	საჯარო ფინანსების მართვასა და ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ინიციატივებზე მომზადებული დასკვნების რაოდენობა;
	საჯარო ფინანსების მართვასა და ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ინიციატივებზე მომზადებული დასკვნების შედეგად საჯარო მმართველობის გასაუმჯობესებლად განხორციელებული ცვლილებები;
2.2. მთავრობის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად	სასწავლის წვლილი/ჩართულობა საჯარო ფინანსების მართვასა და ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებსა და პროექტებში;
	კვლევითი პუბლიკაციები (საჯარო ფინანსების მართვასა და ბიუჯეტირებასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოები, კვლევები, პუბლიკაციები);
	საჯარო ფინანსების მართვასა და ბიუჯეტირებასთან დაკავშირებული სემინარები/ტრენინგები;
	მხარჯავი უწყებების სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების სრული ციკლის შესაფასებლად სარეიტინგო სისტემის დანერგვა და განახლება;
2.3. სამართალდამცავი ორგანოების ექსპერტული დახმარება ქვეყნის ანტიკორუფციული სტრატეგიის ფარგლებში	ანტიკორუფციული სტრატეგიის ფარგლებში თანამშრომლობით ჩატარებული ღონისძიებების/ანგარიშების რაოდენობა;
	სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობით მოტანილი სარგებელი;

სტრატეგიული მიზანი 3

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა

<16>

ამოცანები:

3.1. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ანგარიშების საზოგადოებისათვის მეტი ხელმისაწვდომობა;

3.2. პოლიტიკური პარტიების მიერ ფინანსური ანგარიშგების საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფა;

3.3. დამოუკიდებელი ექსპერტებისა და პოლიტიკურად ნეიტრალური სხვა მხარეების ჩართვა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის პროცესში.

სას-ი მიზნად ისახავს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობასა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას. ამავდროულად, ჩვენი ამოცანაა, პოლიტიკურ პარტიებთან ჩატარებული ერთობლივი ღონისძიებებით, წვლილი შევიტანოთ მათი ფინანსური ანგარიშგების კანონთან შესაბამისობაში. დამოუკიდებელ ექსპერტებთან და პოლიტიკურად ნეიტრალურ მხარეებთან ერთად ჩატარებული ღონისძიებებით, სას-ი გეგმავს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის პროცესის გაუმჯობესებას.

3.4. ყველა სახის ადმინისტრაციული რესურსის არასათანადო გამოყენების თავიდან აცილების მიზნით სხვადასხვა სტრუქტურასთან თანამშრომლობა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავება

სტრატეგიული ამოცანა	ინდიკატორი
3.1. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ანგარიშების საზოგადოებისათვის მეტი ხელმისაწვდომობა	➤ სას-ის სხვადასხვა საშუალებით გამოქვეყნებული პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ანგარიშები; ➤ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული; ➤ მედია საშუალებებით გაშუქებული; ➤ დაინტერესებული მხარეებისთვის გადაგზავნილი;
3.2. პოლიტიკური პარტიების მიერ ფინანსური ანგარიშგების საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფა	➤ ფინანსური ანგარიშგების საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფად პოლიტიკურ პარტიებთან/სუბიექტებთან ერთად ჩატარებული ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა;

სტრატეგიული ამოცანა	ინდიკატორი
3.3. დამოუკიდებელი ექსპერტებისა და პოლიტიკურად ნეიტრალური სხვა მხარეების ჩართვა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის პროცესში	➤ დამოუკიდებელ ექსპერტებთან და პოლიტიკურად ნეიტრალურ სხვა მხარეებთან ერთად ჩატარებული ერთობლივი ღონისძიებები და მომზადებული ანგარიშების რაოდენობა;
3.4. ყველა სახის ადმინისტრაციული რესურსის არასათანადო გამოყენების თავიდან აცილების მიზნით სხვადასხვა სტრუქტურასთან თანამშრომლობა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავება	➤ ადმინისტრაციული რესურსის არასათანადო გამოყენების თავიდან აცილების მიზნით სამსახური გეგმავს ყველა შესაბამის უწყებასთან თანამშრომლობას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს არსებული მიდგომების გაგრძელება არამხოლოდ საარცევნო პერიოდზე, არამედ ყველა სახის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე ნებისმიერ დროს.

სტრატეგიული მიზანი 4

<18>

ინსტიტუციური გაძლიერება

სას-ის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება საქმიანობის ხარისხის ასამაღლებლად

ამოცანები:

4.1. სას-ის, როგორც საუკეთესო დამსაქმებლის რეპუტაციის დამკვიდრება, კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, განვითარება და შენარჩუნება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საჯარო სექტორში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აუდიტის ჩატარება. აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად სამსახურისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი განვითარების ხელშეწყობა. დასახული სტრატეგიული ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის განხორციელებას. სას გეგმავს, ხელი შეუწყოს თითოეული თანამშრომლის როგორც პროფესიულ, ასევე კარიერულ განვითარებას, საკუთარი შესაძლებლობებისა და პოტენციალის გამოვლენას. თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული ზრდისთვის სამსახური გეგმავს:

- თანამშრომელთა კარიერული წინსვლის გამჭვირვალე და ობიექტური სისტემის შემუშავებასა და დანერგვას;
- სტრატეგიის შემუშავებასა და დანერგვას თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით;
- საერთაშორისოდ აღიარებულ პროფესიულ სასერტიფიკაციო კურსებში (ACCA, CFA, IIA, CPA,...) თანამშრომელთა ჩართულობის ხელშეწყობას.

4.2. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაძლიერება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და არსებული გამოწვევების შესაბამისად აუდიტის მეთოდოლოგიების მუდმივი განახლებაა. ამ მიმართულებით სამსახური გეგმავს:

- შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგიის შემუშავებას INTOSAI-ს მიერ მომზადებული ახალი სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აუდიტის გამარტივებული მეთოდოლოგიის შემუშავებას;
- აუდიტის ანგარიშგების ინსტრუქციის მომზადებას.

აგრეთვე, აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო აუდიტის სამსახური გეგმავს აუდიტის ანგარიშების რანჟირების სისტემის შექმნას, რომლის საშუალებითაც წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე მოხდება აუდიტის ანგარიშების პროექტების ხარისხის შეფასება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ასევე გეგმავს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემუშავებასა და დანერგვას ეფექტიანობის აუდიტისთვისაც.

ასევე აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ წლიურ ანგარიშში სას-ის აუდიტორული საქმიანობა ფასდება ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტით. აღნიშნული შეფასების მიზანია აუდიტორულ საქმიანობაში ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვა და დეპარტამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

4.3. ეთიკური გარემოს გაძლიერება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ეთიკურის სტანდარტები მკაფიოდ დანათლად არის ჩამოყალიბებული. ამის ნათელი მაგალითია ეთიკის კოდექსი, რომელიც მოიცავს ეთიკური ქცევის სტანდარტებსა და საქმიანობის ღირებულებებს. ასევე, ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად იქმნება ეთიკის კომისია, რომელიც ახორციელებს თანამშრომელთა მიერ ეთიკური ღირებულებების დაცვის მონიტორინგს.

ეთიკური სტანდარტებისა და ღირებულებების ყოველდღიურ საქმიანობაში დამკვიდრება მნიშვნელოვანია:

1. აუდიტორული საქმიანობის სპეციფიკიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე ეთიკური გარემოს დამკვიდრების ხელშეწყობისათვის;
2. ქვეყნის ანტიკორუფციულ სტრატეგიაში სას-ის როლის გაძლიერებისთვის.

ეთიკური გარემოს გაძლიერებისთვის სას გეგმავს დამატებითი მექანიზმების შემუშავებას, კერძოდ პროფესიული საქმიანობის ღირებულებების დეკლარირების ელექტრონული პორტალის შემუშავებასა და დანერგვას საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული ინსტრუმენტით სას-ის თითოეული თანამშრომელი ყოველწლიურად გამოთქვამს მზაობას პროფესიული საქმიანობის ღირებულებების პრაქტიკაში განსახორციელებლად.

პროფესიული საქმიანობის ღირებულებები

1. პატიოსნება
ვარ სამართლიანობის იდეების ერთგული, კეთილსინდისიერად და პირნათლად ვასრულებ დაკისრებულ მოვალეობებს. ჩემი საქმიანობით არ ვაზიანებ საკუთარ და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეპუტაციას.
2. დამოუკიდებლობა და ობიექტურობა
სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას ვარ დამოუკიდებელი და ობიექტური. დაუყოვნებლივ ვატყობინებ ხელმძღვანელს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის ჩემს დამოუკიდებლობას ან ქმნის ამ საფრთხის წარმოშობის წინაპირობას. თავს ვიკავებ ნებისმიერი ქმედებისაგან, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჩემი დამოუკიდებლობა ან გავლენა მოახდინოს ჩემს სამსახურებრივ საქმიანობაზე. მიუკერძოებლად ვახორციელებ ჩემზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს.
3. პოლიტიკური ნეიტრალიტეტი
არ ვარ პოლიტიკური გაერთიანებების წევრი და ვიცავ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც პოლიტიკურად ნეიტრალური ორგანოს რეპუტაციას. მიუხედავად ჩემი პოლიტიკური შეხედულებებისა, ვინარჩუნებ დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლად ვახორციელებ საქმიანობას.
4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა
ვიცავ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ქცევის ზოგად წესებს ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში ან/და კორუფციული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით. თავიდან ვიცილებ ნებისმიერ გარემოებას, რომელიც გავლენას ახდენს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე, ან რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს ზემოქმედებად და საეჭვო გახადოს ჩემი პატიოსნება, დამოუკიდებლობა და ობიექტურობა. ასევე, უშუალო ხელმძღვანელს ვატყობინებ ნებისმიერ არსებულ თუ შესაძლო ინტერესთა შეუთავსებლობაზე.
5. პროფესიული საიდუმლოების დაცვა
არ ვახმაურებ ინფორმაციას, რომელიც ჩემთვის ხელმისაწვდომი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის გაცემა დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოვალეობათა შესრულებასთან. არ ვასაჯაროებ აუდიტის შედეგებს აუდიტის შედეგების შემაჯამებელი შესაბამისი დოკუმენტის შედგენამდე. ასევე, სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას მოპოვებულ ინფორმაციას არ ვიყენებ პირადი მიზნებისათვის.
6. პასუხისმგებლობა
საქმიანობას ვახორციელებ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, საჯარო მოსამსახურისათვის დადგენილი ქცევის ზოგადი წესების შესაბამისად. ვიცავ ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც მე და ჩემს თანამდებობას ეხება. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ყოველთვის მოწესრიგებული ვარ.
7. პროფესიონალიზმი



ვარ კომპეტენტური და პასუხისმგებელი ჩემ მიერ განხორციელებული საქმიანობის ხარისხზე. არ ვასრულებ ისეთი სამუშაოს, რომლის შესახებაც არ მაქვს სათანადო ცოდნა და კვალიფიკაცია. კონკრეტული საკითხის განხილვისას, სათანადო ცოდნისა და კვალიფიკაციის არქონის შემთხვევაში, ვაცნობებ ხელმძღვანელს. მუდმივად ვზრუნავ ცოდნის განახლებასა და გაღრმავებაზე, პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

8. ურთიერთობის ეტიკა

ვარ თავაზიანი კოლეგებისა და სხვათა მიმართ. თავს ვიკავებ ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციისაგან და პატივს ვცემ სხვა ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებსა და ღირსებას. ასევე, ჩემი საქმიანობითა და დამოკიდებულებებით:

- ხელს ვუწყობ კოლეგებს შორის ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას. თავს ვარიდებ პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების გაღვივებას;
- პროფესიულ და კვალიფიციურ დახმარებას ვუწევ იმ კოლეგებს, რომელთაც ეს ესაჭიროებათ;
- თავს ვიკავებ კოლეგის საქმიანობაში ჩარევისაგან;
- კოლეგა არ შემყავს შეცდომაში;
- კოლეგას ტაქტიკაზე ვუთითებ მის შეცდომებსა და ხარვეზებზე;
- ვმოქმედებ კოლეგიალობის, პროფესიული სოლიდარობისა და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელი სხვა პრინციპებისა და ნორმების დაცვით.
- დაბოლოს, საკუთარი წვლილი შემაქვს ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნაში.

4.4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურისადმი ნდობის ამაღლებისა და და ცნობადობის გაუმჯობესების მიზნით პარლამენტთან, მედიასთან, საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაძლიერება

სას-ის ინსტიტუციური როლის სრულყოფილად შესასრულებლად გადამწყვეტია პარლამენტთან, მედიასთან, საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება.

სას გეგმავს დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებას, დასავლური პრაქტიკისა და წამყვანი უმაღლესი აუდიტორული ორგანოების გამოცდილების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს:

- ❖ საქართველოს პარლამენტთან სისტემატურ კომუნიკაციას, აუდიტორული საქმიანობის შედეგებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შესახებ;
- ❖ აუდიტის ობიექტებთან ორმხრივ ნდობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული პროტოკოლების პრაქტიკაში დანერგვას;
- ❖ საზოგადოების ჩართულობას საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობის პროცესში სხვადასხვა ინსტრუმენტის მეშვეობით (მაგ. პორტალები: „დაგეგმე ჩვენთან ერთად“, „ებრძოლე კორუფციას“, „პარლამენტისა და მოქალაქეების ჩართულობის ვებ-პლატფორმა“)

4.5. საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობების გაძლიერება

სას-ი გეგმავს ურთიერთობების გაძლიერებას უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან (INTOSAI, EUROSAI, ASOSAI), განვითარებული ქვეყნების შესაბამის ინსტიტუტებთან და სტრატეგიულ პარტნიორებთან - შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისთან (SNAO) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ). შესაბამისად, ამ მიმართულებით კომუნიკაციის გაძლიერება და აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო თანამეგობრობის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა ხელს შეუწყობს სას-ის საქმიანობაში საერთაშორისო სტანდარტების/სანიმუშო პრაქტიკის დანერგვის პროცესს და კადრების გადამზადებას აუდიტის თანამედროვე მიდგომებში.

ამასთანავე, სას-ი მიზნად ისახავს თავისი წვლილის გაზრდას საერთაშორისო სტანდარტებისა და აუდიტორული მიდგომების დახვეწაში და აქტიურ მონაწილეობას იმ პროექტებში, სამუშაო ჯგუფებსა და კომიტეტებში, რომელთა წევრიც არის⁵.

4.6. საჯარო სამსახურების დადგენილების პროგრამაში (TWINNING) მონაწილეობით ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

საჯარო სამსახურების დადგენილების პროგრამა გულისხმობს, ევროკავშირის გაფართოებისთვის მომზადების კონტექსტში, ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებთან თანამშრომლობას, ადმინისტრაციული და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით.

საჯარო სამსახურების დადგენილების პროგრამა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ითვალისწინებს გერმანიისა და პოლონეთის უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებთან მრავალწლიანი, მჭიდრო ორმხრივი ურთიერთობის დამყარებას პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. დადგენილების პროგრამის კონტრაქტი დამტკიცდა 2014 წლის მარტში და განხორციელება იგეგმება 2014-2016 წლებში (24 თვის განმავლობაში). TWINNING-ის პროგრამა მოიცავს:

- ❖ აუდიტის სამსახურის კორპორაციული მართვის გაუმჯობესებას;
- ❖ აუდიტორული საქმიანობის ხარისხის ამაღლებას;
- ❖ კადრების პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში პროექტის სრული პერიოდის განმავლობაში იქნება TWINNING-ის ადგილობრივი მრჩეველი, რომელიც ადგილზე გაუწევს კოორდინაციას პროექტის წარმატებით განხორციელებას.

4.7. მართვის სისტემებისა და პროცესების გაუმჯობესება სამსახურის საქმიანობის პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად;

აუდიტორული საქმიანობის სამუშაო პროცესის ეფექტიანობის ზრდისათვის მნიშვნელოვანია მართვის საინფორმაციო სისტემების, მათ შორის:

აუდიტის მართვის სისტემის (Audit Management System – AMS) შექმნა და დანერგვა - ელექტრონულ აუდიტორულ პროგრამას საფუძვლად უდევს საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების, ე.წ „დიდი ოთხეულის“, გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს აუდიტორულ

⁵ პროფესიული სტანდარტების კომიტეტი; შესაბამისობის აუდიტის ქვეკომიტეტი; შიდა კონტროლების სტანდარტების ქვეკომიტეტი; გარემოს აუდიტის სამუშაო ჯგუფი; პროგრამული შეფასების სამუშაო ჯგუფი; საერთაშორისო განვითარების ინიციატივა; ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის სამუშაო ჯგუფი; მოპოვებითი ინდუსტრიების აუდიტის სამუშაო ჯგუფი; ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის სამუშაო ჯგუფი.

ინსტიტუტებში დანერგილი აუდიტის ელექტრონული პროგრამების კონცეფცია. აღნიშნული პროგრამა საშუალებას მისცემს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს:

- უზრუნველყოს ცალკეული აუდიტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების ელექტრონული დოკუმენტაცია და შესაბამისი დონის პროგრამული ავტორიზაციები;
- დანერგოს ერთიანი აუდიტორული მიდგომები ცალკეული სფეროს აუდიტისადმი;
- დანერგოს აუდიტის პროექტის მენეჯმენტის, შემოწმებისა და აუდიტის პროცესის ზედამხედველობის პროგრამული ინსტრუმენტები;
- დანერგოს სისტემური მიდგომა აუდიტის პროცესისადმი, რაც გამოიხატება აუდიტორული პროცედურების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრული თანმიმდევრობით ჩატარებაში გააუმჯობესოს ხარისხის კონტროლის სისტემა და უზრუნველყოს დასრულებული აუდიტების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ელექტრონულ არქივში განსათავსებლად მომზადება.

მონაცემთა ანალიზით თაღლითობის გამომვლენი კომპიუტერული პროგრამის (CAAT) დანერგვა – აღნიშნული პროგრამის მეშვეობით IT აუდიტორები შეძლებენ შიდა კონტროლების ტესტირებას და მონაცემთა ანალიტიკური მიმოხილვების მომზადებას. CAAT-ის საშუალებით შესაძლებელი გახდება განსაკუთრებით დიდი მოცულობის მონაცემთა ბაზებთან მუშაობა, ფინანსური და არაფინანსური ოპერაციების სპეციალური კრიტერიუმების მიხედვით დახარისხება და თაღლითობის შემცველი ელემენტების იდენტიფიცირება.

რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემის შემუშავება და დანერგვა - სახელმწიფო აუდიტის სამსახური გეგმავს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემის შემუშავებას და დანერგვას, რომლის მიზანია:

1. რეკომენდაციების შესრულების პროცესში პარლამენტის როლის გაზრდა;
2. რეკომენდაციების ხარისხის ამაღლება;
3. აუდიტის ობიექტების მხრიდან სას-ის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების მაჩვენებლის გაუმჯობესება;
4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მოტანილი სარგებლის გაზრდა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირებული იქნება საქართველოს პარლამენტი და აუდიტის თითოეული ობიექტი. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის დიზაინი უზრუნველყოფს მომხმარებელთა ინტერაქტიული ფორმით კომუნიკაციას. ამასთანავე, სისტემა საშუალებას მისცემს, როგორც პარლამენტს, ასევე, აუდიტის ობიექტებს მიიღონ სხვადასხვა სახის ანალიტიკური ინფორმაცია

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ.

აღნიშნული პროცესის სრულყოფის მიზნით, სამსახური გეგმავს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სახელმძღვანელოს შემუშავებასა და დანერგვას.

აუდიტის სისტემატიზირებული აღრიცხვის, კლასიფიცირებისა და ანგარიშგების ელექტრონული სისტემის დანერგვა - აუდიტის სისტემატიზებული აღრიცხვის, კლასიფიცირებისა და ანგარიშგებისათვის სამსახური გეგმავს აუდიტის ელექტრონული ბარათის დანერგვას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება აუდიტის პერიოდში გამოვლენილი ნაკლოვანებების დახარისხება და მათთვის სპეციფიკური - ფინანსური და არაფინანსური კატეგორიების მინიჭება.

აუდიტის ელექტრონული ბარათის მეშვეობით შესაძლებელი იქნება აუდიტის მთლიანი პროცესის დადოკუმენტირება და მიმდინარეობის მონიტორინგი, რაც ხელს შეუწყობს აუდიტების შესახებ ინსტიტუციური ცოდნის დაგროვებას. კერძოდ, ელექტრონულ სისტემაში მოხდება აუდიტის გეგმით გათვალისწინებული ყველა აუდიტის რეგისტრაცია და თითოეულის მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაციის სისტემაში ასახვა, რომელიც მოიცავს:

- ❖ აუდიტის მიმდინარეობის პროგრესს;
- ❖ ხარისხის უზრუნველყოფას;
- ❖ სამართალდამცავ უწყებებში გადაგზავნის შესახებ ინფორმაციას;
- ❖ აუდიტის შედეგებს;
- ❖ რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგს.

დროის მართვისა და აღრიცხვის (WTRS) სისტემის დანერგვა - სისტემის საშუალებით აღირიცხება აუდიტორების მიერ ნამუშევარი საათების რაოდენობა. სამუშაო საათების ზუსტი აღრიცხვა ხელს შეუწყობს, როგორც წლიური, ასევე თითოეული აუდიტის დაგეგმვის პროცესს. სისტემა შესაძლებელს გახდის აუდიტის მიმდინარეობისას რეალურად დახარჯული და დაგეგმილი საათების შედარებას. დროის მართვისა და აღრიცხვის სისტემა ხელს შეუწყობს თანამშრომელთა სამუშაო დროის უფრო რაციონალურად გამოყენებას, პროდუქტიულობის გაზრდას, არსებული რესურსების გათვალისწინებით დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესებას, ამოცანათა ოპტიმალურ განაწილებას და სამუშაო პროცესების სრულყოფას.

აუდიტის დაგეგმვის გაუმჯობესება - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს აუდიტის დაგეგმვის პროცესის სრულყოფით არსებული რესურსების ეფექტიანი განაწილება. აუდიტის დაგეგმვის რისკზე დაფუძნებული მოდელის ფორმის დახვეწით, აუდიტის ობიექტის სირთულის კოეფიციენტის განსაზღვრით და შესაბამისი მეთოდოლოგიის პრაქტიკაში დანერგვით, სას-ი უზრუნველყოფს აუდიტის გეგმის შედგენის პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. აუდიტის დაგეგმვის რისკზე დაფუძნებული მიდგომის მთავარი უპირატესობებია:

- ❖ აუდიტორული საქმიანობის გაუმჯობესება საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისა და აქტუალური რისკების გათვალისწინებით;
- ❖ სას-ის შეზღუდული ადამიანური, დროითი და ფინანსური რესურსების გადანაწილება მაღალი რისკის შემცველი სფეროების შესასწავლად;
- ❖ აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მუდმივი ზრდის ხელშეწყობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახურის საქმიანობის პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად სას-ი ასევე გეგმავს:

კომუნიკაციის სტრატეგიის დანერგვასა და განხორციელებას – გულისხმობს ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომელთა კომუნიკაციის ეფექტური სისტემის დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციაში სამუშაო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დროულ და ეფექტიან გაცვლას.

4.8. საჯარო ფინანსების მართვაში სანიმუშო ორგანიზაციად ჩამოყალიბება

საჯარო ფინანსების მართვისა და სახელმწიფო სექტორის განვითარების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უწყვეტი პროფესიული და ინსტიტუციური განვითარება. საჯარო ფინანსების მართვაში სანიმუშო ორგანიზაციად ჩამოყალიბების პროცესში სას-ი მიზნად ისახავს:

შიდა აუდიტის ფუნქციის სრულყოფას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად - აღნიშნული სტრატეგიული ამოცანის შესრულება უზრუნველყოფს გონივრული რწმუნების მიღებას, რომ ორგანიზაციის რესურსების მართვა შეესაბამება ეკონომიურობის, პროდუქტიულობის და ეფექტიანობის პრინციპებს. ამავდროულად აღნიშნული ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით სას-ის, როგორც საჯარო სექტორში სანიმუშო ორგანიზაციის, ჩამოყალიბებას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია საჯარო სექტორში მიმდინარე რეფორმის გათვალისწინებით.

ორგანიზაციის ბიუჯეტირებისა და ანგარიშგების გაუმჯობესებას - საჯარო სექტორში შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების დანერგვის პროცესის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სას-ის ბიუჯეტირებისა და ანგარიშგების სრულყოფა და ამ მიმართულებით მისი, როგორც სამაგალითო ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

სტრატეგიული დაგეგმვისა და ეფექტიანობის შეფასების პოლიტიკის დანერგვას – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის შეფასების სისტემა საშუალებას მისცემს მენეჯმენტს, განახორციელოს სახელმწიფო აუდიტის საქმიანობის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის რეგულარული შეფასება წინასწარ გაწერილი ინდიკატორებისა და მიზნების მიხედვით. ამგვარი სისტემის დანერგვა და ეფექტური ფუნქციონირება ემსახურება უწყების შემადგენელი სტრუქტურული ერთეულების ანგარიშვალდებულების ზრდას, შესაძლო რისკების ადრეულ გამოვლენას და მენეჯმენტის ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდით რესურსების ეფექტური გამოყენების და საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

შეფასება	
სტრატეგიული ამოცანა	ინდიკატორი
4.1 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც საუკეთესო დამსაქმებლის რეპუტაციის დამკვიდრება, კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, განვითარება და შენარჩუნება	❖ ადამიანური რესურსების მართვა:
	➤ აუდიტორულ და არააუდიტორულ შტატს შორის თანაფარდობის კოეფიციენტი;
	➤ ყოველწლიურად სწავლებასა და პროფესიულ განვითარებაზე დახარჯული საშუალო დრო (სთ/კაცი);
	➤ თანამშრომელთა ჩართულობა შიდა/გარე ტრენინგებში/სემინარებში;
	➤ უნივერსიტეტებთან სას-ის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის და კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა;
	➤ სერტიფიცირებულ აუდიტორთა რაოდენობის თანაფარდობა მთლიან აუდიტორთა რაოდენობაში;
	❖ თანამშრომელთა მხრიდან სას-ის საქმიანობის შეფასება:
	➤ სამუშაო პირობებით თანამშრომელთა ზოგადი კმაყოფილების ხარისხი;
4.2 აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაძლიერება	➤ თანამშრომელთა მხრიდან შიდა/გარე ტრენინგების/სემინარების სარგებლიანობის შეფასება;
	➤ თანამშრომელთა მხრიდან მათი უშუალო ხელმძღვანელისა და მაღალი დონის მენეჯმენტის მმართველობის ეფექტურობის შეფასება;
	❖ აუდიტორული საქმიანობის ხარისხი
	➤ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ შემოწმებული აუდიტის ანგარიშების რაოდენობა მთლიან აუდიტების რაოდენობასთან (წლის განმავლობაში);
	➤ ფინანსური აუდიტის გამარტივებული პროცედურების შემუშავება;
	➤ შესაბამისობის მეთოდოლოგია



შეფასება	
4.3 ეთიკური გარემოს გაძლიერება	❖ ეთიკური ღირებულებების დეკლარირების ელექტრონული პორტალის შემუშავება და დანერგვა;
4.4 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ნდობის ასამაღლებლად და ცნობადობის გასაუმჯობესებლად	❖ სას-ის ანგარიშების განხილვა საპარლამენტო/საკომიტეტო სხდომებზე; ❖ საპარლამენტო განხილვებში სას-ის აუდიტორული/არაუდიტორული ანგარიშების ციტირება; ❖ პარლამენტართა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მიერ სას-ის საქმიანობის ხარისხის, დროულობისა და შერჩეული საკითხების ზოგადი შეფასება; ❖ სას-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე აუდიტის ანგარიშების განთავსების დროულობა; ❖ პარლამენტისთვის გადაზღვრული აუდიტის ანგარიშების რაოდენობა; ❖ ოფიციალურ ვებ-გვერდზე ვიზიტორთა რაოდენობა; ❖ ოფიციალურ ვებ-გვერდიდან ჩამოტვირთული ანგარიშების რაოდენობა; ❖ ბრიფინგების/ინტერვიუების რაოდენობა (წლის განმავლობაში); ❖ „დაგეგმე ჩვენთან ერთად“ ე-პორტალის შემუშავება; ❖ ოფიციალურ ვებ-გვერდზე აუდიტის თემების შერჩევაში საზოგადოების ჩართულობა (ვიზიტორთა რაოდენობა); ❖ „ებრძოლე კორუფციას“ ე-პორტალის შემუშავება; ❖ „პარლამენტისა და მოქალაქეების ჩართულობის ვებ-პლატფორმის“ შემუშავება და დანერგვა; მოქალაქეებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აკადემიური სფეროსა და მედიის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების რაოდენობა;

შეფასება	
4.5 საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობების გაძლიერება	❖ INTOSAI-ის კონფერენციებში/სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა; ❖ INTOSAI-ის კონფერენციებში/სამუშაო ჯგუფებში შეტანილი წვლილი;
4.6 საჯარო სამსახურების დამმობილების პროგრამაში (TWINNING) მონაწილეობით ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება	❖ პროგრამის ხელშეკრულებით თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევა (იხ. დანართი 1);
4.7 მართვის სისტემებისა და პროცესების გაუმჯობესება სამსახურის საქმიანობის პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად	❖ აუდიტის მართვის სისტემის დანერგვა; ❖ მონაცემთა ანალიზით თაღლითობის გამომვლენი კომპიუტერული პროგრამის (CAAT) დანერგვა IT აუდიტის პროცესში; ❖ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემის დანერგვა; ➤ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის შემუშავება და დანერგვა; ➤ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სახელმძღვანელოს შემუშავება და დანერგვა;
	❖ აუდიტის სისტემატიზირებული აღრიცხვის, კლასიფიცირებისა და ანგარიშგების ელექტრონული სისტემის დანერგვა;
	❖ დროის მართვისა და აღრიცხვის (WTRS) სისტემის დანერგვა;
	❖ აუდიტის დაგეგმვის რისკზე დაფუძნებული მოდელის ფორმის დახვეწა;
	❖ დასაბუთებული, ობიექტური და რეპრეზენტატიული აუდიტის ობიექტების/თემების შერჩევა;
	❖ შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგიის შემუშავება;
	❖ აუდიტების ანგარიშგების ინსტრუქციის შემუშავება;
	❖ ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა;
	❖ შიდა კომუნიკაციის სტრატეგიის დანერგვა და განხორციელება;
	❖ შიდა აუდიტის ფუნქციის სრულყოფას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
4.8 საჯარო ფინანსების მართვაში სანიმუშო ორგანიზაციად ჩამოყალიბება	❖ ორგანიზაციის ბიუჯეტირების და ანგარიშგების გაუმჯობესება; ❖ სტრატეგიული დაგეგმვისა და ეფექტიანობის შეფასების სისტემის დანერგვა;